საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები იწყება

2024 წლის 12 ივნისიდან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები იწყება.

სწავლების ცენტრი სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას 8 მუნიციპალიტეტში მოქმედ საგამოცდო ცენტრებში უზრუნველყოფს: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 504-მა მოქალაქემ დააფიქსირა, რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 49%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდება და ნათარგმნი საგამოცდო ტესტები უცვლელი ფორმით გამოიყენება სერტიფიცირების პროცესში.

ტესტები ხელმისაწვდომია ბმულებზე:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები (ARM)
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები (AZR)

გამოცდის ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ:

გამოსაცდელი სერტიფიცირების გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული საგამოცდო ცენტრის მიხედვით, საგამოცდო თარიღისა და დროის დაცვით.

საგამოცდო დარბაზში დაშვების პროცედურის გავლის მიზნებისთვის, მოქალაქე საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება: საგამოცდო დარბაზის დატოვება; ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება; გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება.

გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, დაგვიანებით გამოცხადდება, ან გამოცდის მიმდინარეობისას დაარღვევს დადგენილ წესებს მოიხსნება გამოცდიდან.

სერტიფიცირების გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 15 ქულა. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 032 2 61 21 11

2024 წლის ივნისში გასამართი სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	ქ. თელავი, დავითაშვილის N2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	120	50
2	ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის N68 (N23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	76
3	ქ. მარნეული, რუსთაველის N69 (N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	225	150
4	ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის N36 (N21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	75	28
5	ქ. თეთრიწყარო, ჭავჭავაძის ქ. N2 (N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	100	7
6	ქ. ახალციხე, კეცხოველის N6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	80	17
7	ქ. ახალქალაქი, ჯავახიშვილის N2 (N40 ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	70	58
8	ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების N23 (N41 ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	120	118